

1

ივლისი

რიგითი ჟამის XIII კვირა [1], მწ

სამზაბათი :

2025 :

(18.VI) წმ. ღირსი მიქაელ ულუმბელი,
მონაზონი, VI ს

დაბ 19,15-29; ფს 25; მთ 8,23-27

აწვიმა უფალმა სოდომს გოგირდი
და ცეცხლი დაბ 19,23

უფლის „გულმოწყალების დიდმა საქმემ“
ცეცხლიდან იხსნა ლოტი. იმ ადგილებიდან
უნდა გაქცეულიყო: სხვანაირად ვერ გადა-
რჩებოდა. ამიტომაც შემაგონებდნენ მეც
ბავშვობაში, რომ „მოვერიდო ცოდვის შემცვ-
ლელ გარემოებებს“, რათა არ დაგვაზიანონ
და არ დაგვლუპონ.

2

ივლისი

ოთხშაბათი :
2025 :

რიგითი ჟამის XIII კვირა [I], მწ

დაბ 21,5.8-20; ფს 33; მთ 8,28-34

ისმინა ღმერთმა ხმა ყრმისა დაბ 21,17

თავად ღმერთმა უბრძანა აბრაამს ისმაილის გაგზავნა, როგორც სარას სურდა. ის თავად იბრუნებდა მათზე და არ დაუშვებდა მათ უდაბნოში დაღუპვას. ცოლიც და ქმარიც გაუფრთხილდებიან თავიანთ კავშირს, თუნდაც მოუწიოთ მეუღლის მცდარი განსჯის მიღება. ღმერთი გაცხადდება და მზად იქნება სასწაულთა მოსახდენად.

3 ივლისი

ხუთშაბათი :
2025 :

წმ. თომას მოციქული, (ღ), [ს], წ

ეფ 2,19-22; ფს 116; იო 20,24-29

წეცარ არიან, ვისაც არ ვუნახივარ
და მიწმუნეს იო 20,29

როდესაც თომამ მკვდრეთით აღმდგარი იესო ირწმუნა, იესომ, თავდაჭერილად გაკიცხა. ამიერიდან იგი დიდი პატივით მოეკიდება ყველას, ვინც ერწმუნება ძმათა სიტყვას, ნახვისა და შეხების გარეშე, როგორც ამას დაჟინებით ითხოვდა იგი.

4

ივლისი

რიგითი ჟამის XIII კვირა [1], მწ

პარასკევი :

2025

(21.VI) წმ. არჩილი, საქართველოს მეფე, +744;
წმ. ელისაბედი, პორტუგალიის დედოფალი, +1336

დაბ 23,1-4.19; 24,1-8.62-67; ფს 105; მთ 9,9-13

მართლთა მოსახმობად არ მოესულვარ მთ 9,13

იესო, შენ ასე მიუგებ ფარისეველთა კრიტიკას, რომლებიც არ იწონებენ შენს ქცევას.

ღმერთს რომ მხოლოდ მართლები მიელო და ცოდვილები არ შეეწყალა, მართო დარჩებოდა: ვერავინ გადარჩებოდა. ფარისეველები

თავს ღირსეულად რაცხდნენ და ამიტომაც დასცინოდნენ ცოდვითა მიმართ ღმერთის სიყვარულს. არაფერია ამაზე უარესი ცოდვა.

იესო, მიჰგვარე მათ თავის დამდაბლების გამოხატვის უნარი.

5

ივლისი

რიგითი ჟამის XIII კვირა [1], მწ

შაბათი

2025

წმ. ანტონ მარია ზაქარია, ხუცესი, ბარნაბიტა
დამაარსებელი, +1539 კრემონაში (იტალია)

დაბ 27,1-5.15-29; ფს 134; მთ 9,14-17

ღაილო-ცება უფნი ღამლო-ცაჳი დაბ 27,29

ამ სიტყვებით ასრულებს მოხუცი და უსინათლო ისააკი თავისი ვაჟის – იაკობის კურთხევას. იმ ფაქტით, რომ იგი ტყუილში შეიყვანეს, კურთხევა არანაირად არ კნინდება.

იგივე სიტყვები უთხრა ღმერთმა აბრაამს, და მთლიანად აღსრულდება მაკურთხევლისთვის - იესოს მლოცველისთვის: კურთხეული ხარ, ღმერთს უყვარხარ, ნეტარო.

6

ივლისი

რიგითი XIV კვირადღე, «ბ», [I], მწ

პვირბ

2025

[წმ. მარია გორეტი, ქალწული და წამებული,
+1902 ნეტუნოში (იტალია)]

ეს 66,10-14; ფს 65; გალ 6,14-18; ლკ 10,1-12.17-20

უფრო-რე ის ეხსაროდეთ, რომ
თქვენი სახელები ცაშია ჩაწერილი ლკ 10,20

იმ დროს, როცა სამოცდათორმეტი მოწაფე
თავიანთი პირველი მისიიდან ბრუნდებოდა,
როგორც პასეჟზე ისე ხარობდნენ:

ეშმაკებზე გამარჯვება განიცადეს! მათ,
როგორც უბოვარ, წუთისოფლის უმცირეს
ადამიანებს, დიდი შვების მითანა შეეძლოთ
ტანჯულთათვის. თუმცა იესო სიხარულის
სხვა მიზეზს აჩვენებს მათ. არსებობს ერთი
ურყევი და სწორი მიზეზი სიხარულისათვის:
ჩვენ მამას ვუყვარვართ!

7

ივლისი

ორშაბათი :
2025 :

რიგითი ჟამის XIV კვირა [II], მ5

დაბ 28,10-22; ფს 90; მთ 9,18-26

მოდი და შენი ხელი დაადე მას მთ 9,18

ის ერთ-ერთი მთავარია, რომელიც იესოს თავისი მომაკვდავი ასულისთვის ევედრება.

იესო შეისმენს მის თხოვნას და მასთან ერთად მიდის. რატომ მიმართავს ყველა იესოს და არა სხვა პერსონაჟებს, ხალხის მთავრებს, ან ჰეროდეს ან სულაც იმპერიის მოხელეთ? ყველა ხედავს სად არის სიყვარული, სწორედ იქ აღიძვრის ღმერთი.

8 ივლისი

სამუშაო :
2025 :

რიგითი ჟამის XIV კვირა [II], მწ

დაბ 32,23-33; ფს 16; მთ 9,32-38

იხილა ღმერთი პირისპირ დაბ 32,31

უცნაურ პერსონაჟთან შერკინების შემდეგ, იაკობი აღიარებს, რომ ის ღმერთთან იდგა პირისპირ. უკვირს, რომ ჯერ ისევ ცოცხალია. მან როგორც მტერი, ისე გამოსცადა ღმერთი, არადა, სწორედ მან გადაარჩინა.

9 ივლისი

რიგითი ჟამის XIV კვირა [II], მწ

ოთხშაბათი :

2025 :

წმმ. ავგუსტინე ჟაო რონვი, ხუცესი, +1815,
და მისი მეგობრები, ჩინეთში წამებულნი
+1648-1930წწ.

დაბ 41,55-57; 42,5-7.17-24; ფს 32; მთ 10,1-7

იქდაგეთ, რომ მოახლოებულია
ცათა სასუფეველი მთ 10,7

ქადაგება სახალხოდ უწყებას ნიშნავს. ეს ამბავიც სახალხოა: ცხოვრების ახალი გზა, ახალი საზოგადოება, ახალი პოლიტიკა იწყება. მოდის იესო და ყველაფერს ცვლის. შეგვიძლია ვიცხოვროთ ძმობაში, შეგვიძლია ერთმანეთის ჭირი და ლხინი გავიზიაროთ, ერთმანეთს უშურველად დავეხმაროთ, ერთმანეთს ვენდოთ.

10 ივლისი

რიგითი ჟამის XIV კვირა [II]

ხუთშაბათი :

2025 :

(27.VI) წმ. ღირსი გიორგი მთაწმინდელი,
+1065, (მ), თ

დაბ 44,18-21.23-29; 45,1-5; ფს 104; მთ 10,7-15

უსასყიდლოდ მიეგიათ,
უსასყიდლოდვე გაცეით მთ 10,8

იოლად დავიხსომებთ იესოს ამ დარიგებას. მაშინაც გამახსენდება, როდესაც მავანი შეეცდება ჩემი სიკეთის გამო სამაგიერო გადამიხადოს. ამის თქმის სურვილი მექნება: შენც შეისმინე იესოსი, იცოდე, რომ უანგაროდ უყვარხარ. ესეც ღმერთის დიდებაა!

11 ივლისი

პარასკევი : წმ. ბენედიქტი, აბატი, ევროპის მფარველი
2025 : +547 მონტე კასინოში (იტალია) დ, [ს], 01

იგ 2,1-9; ფს 33; მთ 19,27-29

რაბათში ბენედიქტელ დედათა დღესასწაული

ჟველა, ვინც მიატოვებს ... მიიღებს ასმაგს მთ 19,29

წმინდა ბენედიქტეს ისე ძლიერ უყვარდა იესო, რომ თავის ახლობლებს, სიმდიდრეს, შესაშურ კარიერასაც კი ამჯობინებდა. შემდგომში, ეს სრულიად გამორჩეული სიყვარული თავის მოწაფეებს გადასცა. ასე გავრცელდა მთელს ევროპაში ახალი ცივილიზაცია, რამაც კაცობრიობას ნამდვილი კეთილდღეობა მოუტანა.

12

ივლისი

შაბათი

2025

რიგითი ჟამის XIV კვირა [II], მწ

დაბ 49,29-33; 50,15-26; ფს 104; მთ 10,24-33

თქვენს თავსე თმებიც კი დათვლილია მთ 10,30

იესო იმედს უსახავს თავის მოწაფეებს. შიშს არ უნდა დანებდნენ, არაფრის და არავისი არ უნდა ეშინოდეთ. შიში რწმენას განდევნის მათი გულიდან და დააბრკოლებს მამის სიყვარულის დამოწმებაში. თვით სიკვდილის საფრთხის წინაშეც განიდევნება შიში მასში, ვისაც იესო უყვარს!

13

ივლისი

რიგითი XV კვირადღე, «მ», [III], 06

კვირა

2025

•••••
••••• [(30.VI) წმ. დინარ დედოფალი, X ს;

••••• წმ. ჰენრიხი, გერმანიის იმპერატორი,

+1024 ბამბერგში]

რჯლ 30,10-14; ფს 18; კოლ 1,15-20; ლკ 10,25-37

წალი და შენც ასე მოიქეცი ლკ 10,37

ეკლესიის ძველთაძველი და ამჟამინდელი ისტორია სავსეა იესოს სიტყვის მორჩილი ადამიანებით. სამარიელს, მიუხედავად თავისი არასრული რწმენისა, ჭეშმარიტი სიყვარული ამოძრავებდა, რაც ავთენტურად ამოწმებდა მამის სიყვარულს ყოველი კაცის მიმართ, ვინც შეჭირვებულია, ვინც ფიზიკურად იტანჯება და ცოდვის გამო სწუხს. მეც აღმოვჩნდები მსგავს სიტუაციაში...

14

ივლისი

ორშაბათი

2025

რიგითი ჟამის XV კვირა [III], მწ

წმ. კამილო დე ლელისი, ხუცესი,
ჰოსპიტალიერ ბერთა, კამილიელთა ორდენის
დამაარსებელი, +1614 რომში

გამ 1,8-14.22; ფს 123; მთ 10,34 - 11,1

კამილიელ მამათა და დედათა დღესასწაული,
სნეულთა და მედმუშაკთა მფარველი

ვისაც მამა თუ დედა ჩემზე მეტად უყვარს,
არაა ჩემი ღირსი მთ 10,37

იესო, შენს მოყვარულს ჭეშმარიტი, ღრმა და თავისუფალი სიყვარული აქვს ყველას მიმართ და წმინდა სიყვარულით უყვარს მისთვის ძვირფასი ადამიანები. შენი მოყვარული, შენმიერი გულით უძღვნის საკუთარ მშობლებს ნამდვილ სიბრძნეს და სიყვარულს, რომელიც შორს დგას მათმებელი პირფერობისგან. შენი მოყვარული იღებს სულიწმიდას და გადასცემს ყველას, ვინც შენ გიახლოვდება!

15 ივლისი

რიგითი ჟამის XV კვირა [III]

სამუშაოთი :

2025 :

წმ. ბონავენტურა, ალბანოს ეპისკოპოსი და კარდინალი, ფრანცისკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1274 ლიონში კრების დროს, (მ), თ

გამ 2,1-15; ფს 68; მთ 11,20-24

იწყო იმ ქალაქების კიცხვა... მთ 11,20

იესო, შენ შეგიძლია საყვედურის თქმაც. შენი საყვედური შენს წრფელ და ნამდვილ სიყვარულს გამოხატავს. იმ ქალაქების მკვიდრნი, რომლებიც შენი სასწაულების მნახველნი არიან, ჯერდებიან ირწმუნონ ის, რაც მხოლოდ სხეულის სიმრთელეს მოუტანთ მას და არა სწამთ შენი ზეციერ სამეფოსათვის. ითხოვდნენ შენგან განკურნებას, მაგრამ გულს არ გიძღვნიდნენ და არ გისმენდნენ.

16 ივლისი

რიგითი ჟამის XV კვირა [III], მწ

ოთხშაბათი :

2025 :

(3.VII) წმ. ღ. გიორგი ღმერთშემოსილი,
დაყუდებული, +1068;
კარმელის მთის ნ. ქალწული მარიამი

გამ 3,1-6.9-12; ფს 102; მთ 11,25-27

არაფი იცნობს მამას გარდა ძისა მთ 11,27

შენს გვერდით დავრჩებით, იესო, რათა შევძლოთ შეცნობა შენი მამისა, მისგან გვენიჭება ჩვენც სიცოცხლე და ჩვენც ვუწოდებთ მას მამას. შენ არა მხოლოდ გვესაუბრები მასზე, არამედ გვაჩვენებ მის სიყვარულს და უფლებას გვაძლევ ამ სიყვარულში იმგვარად შევიდეთ, რომ ჩვენი გამოცდილებით შევიცნოთ ის!

17

ივლისი

სუთხაბათი :
2025 :

რიგითი ჟამის XV კვირა [III], მწ

გამ 3,13-20; ფს 104; მთ 11,28-30

აღეთ ჩემი უღელი მთ 11,29

გინახავთ ერთ უღელში შებმული ორი ცხოველი? ვერ განცალკევდებიან, ერთი მიმართულებით მიდიან, ერთნაირი ჯაფა ადგათ. იესო მოგვიწოდებს, რომ დავრჩეთ მასთან, გავიზიაროთ მისი მისია, გავყვეთ მის ნაბიჯებს ანუ მამისადმი მისმიერი მორჩილებით ვიცხოვროთ ამაზე ლამაზი მოწვევა რა შემოიძლია მივიღო!

18 ივლისი

პარასკევი :
2025 :

რიგითი ჟამის XV კვირა [III], მწ

გამ 11,10 - 12,14; ფს 115; მთ 12,1-8

არ წაგიკითხავთ, რა ქნა დავითმა? მთ 12,3

იესო, შენ ყურადრებას მოითხოვ ჩვენგან წმინდა წერილის კითხვისას, რომლებიც გვაჩვენებენ შესაძლო ან საჭირო გამონაკლისებს წესებში. დავით მეფე, ფაქტობრივად, დაუმორჩილებლობით დამორჩილდა. იგი არ დაემორჩილა რჯულის კანონს, რათა მამის სიყვარულის მორჩილი ყოფილიყო. ყველა წესი გამიზნულია ადამიანის სიყვარულისკენ, სუფთა და წმიდა სიყვარულისკენ.

19 ივლისი

შაბათი
2025

რიგითი ჟამის XV კვირა [III], მწ

გამ 12,37-42; ფს 135; მთ 12,14-21

უბრძანა მათ, არ გაესმაურებინათ მთ 12,16

რა უნდა გაეთქვას? ის, რომ ყველა განიკურნა. ფარისევლებმა მისი მოკვლა გადაწყვიტეს, და აზრს მაშინაც კი არ შეიცვლიდნენ, ამ ახალ განკურნებებზე რომ გაეგოთ. გაუთქმელობა კი მას ეხმარება, ვინც განკურნებულია და შეუძლია იფიქროს და აღიაროს იესოს ნამდვილი ვინაობა.

20 ივლისი

კვირა

რიგითი XVI კვირადღე, «ბ», [IV], მწ

2025

[წმ. აპოლინარიუსი, რავენის ეპისკოპოსი
და წამებუღი, III.]

დაბ 18,1-10; ფს 14; კოლ 1,24-28; ლკ 10,38-42

მარიაჲს უკეთესი წილი აიღრია ლკ 10,42

ბეთანიაში ვართ, მართას სახლში. სწორედ მას უნდა გასცეს პასუხი იესომ, მას, ვინც თავის დაზე ცუდად ლაპარაკობს. ხოლო იესო აკურთხებს მის დას, უფრო მეტიც, ნიმუშად იყენებს, რამეთუ მისი სიყვარული უფრო გამძლე და ურო სუფთაა, ვიდრე მართასი, რომელიც მატერიალურ საჭიროებებზე ფიქრობდა.

21 ივლისი

რიგითი ჟამის XVI კვირა [IV], მწ

ორშაბათი :

2025 :

წმ. ლავრენტი ბრინდიშელი, ხუცესი, ფრანცისკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1619 ლისაბონში

გამ 14,5-18; საგ. გამ 15; მთ 12,38-42

კამილიელი მ. პავლე შჩეპანეკის გახსენება (+1999)

უფალი იბრძოლებს თქვენთვის გამ 14,14

მოსე ამხნევებს ძლიერი შიშით შეპყრობილ ხალხს, რომელსაც ფარაონის ჯარი დევნიდა.

ხალხის გზა ღმერთზე მორჩილებაა, ამიტომაც არ უნდა ეშინოდეთ: თავისი ხელით დაიცავს და გაათავისუფლებს მათ, ვინც მის ბრძანებებს შეასრულებს.

22 ივლისი

სამუშაოთი :
2025 :

წმ. მარიამ მაგდალელი,
უფლის მოწაფე დ, [ს], 0

ქებ 3,1-4 ან, 2კორ 5,14-17; ფს 62; იო 20,1-2.11-18

დ. ნოელ ლოკატელის გახსენება (+2019)

ავდიგარ მამა ჩემთან და მამა თქვენთან იო 20,17

მარიამ მაგდალელი გამორჩეული წმიდანია, რამეთუ თავად იესო მიანდობს მას განსაკუთრებულ დავალებას. ცრემლებს ღვრის, როდესაც მოესმება, თუ როგორ ეძახის იესო და აღიარებს მას მკვდრეთით აღმდგარს. იესო ავალებს, რომ მოციქულებს აუწყოს თავისი აღდგომა და ამაღლება ახალი სიტყვებით: ამიერიდან მამა ღმერთი შეიცნობა არა აბრაამის სახელით, არამედ იესოსა და ეკლესიის სახელით.

23 ივლისი

ოთხშაბათი : წმ. ბრიგიდა შვედი, ევროპის მფარველი,
ოჯახის დედა, შემდგომ მონაზონი,
2025 : +1373 რომში [ს], 01

გალ 2,19-20; ფს 33; იო 15,1-8

ვიწა ჩემში რჩება... უხვ ნაყოფს გამოიღებს იო 15,5

ევროპის მფარველი წმიდანის, წმ. ბრიგიდას ხსენების დღეს იესოს ამ სიტყვებს ვისმენთ.

ის ნაყოფიერი ხეა, საიდანაც მოდის მშვიდობის, სიყვარულის, თავმდაბლობის, თვინიერებისა და სიმტკიცის ნაყოფი.

ამიტომ მას ისე ვეჭიდებით, როგორც ლერწი ვაზის ტოტებს, შეუპოვრობით, რათა ჩვენი ცხოვრება ემსახუროს წუთისოფლის სიხარულსა და მშვიდობას.

24 ივლისი

რიგითი ჟამის XVI კვირა [IV], მწ

ხუთშაბათი :

2025 :

წმ. სარბელიუს მახლუფი, ხუცესი,
ბერი ლიბანში +1898

გამ 19,1-2.9-11.16-20; საგ. დან 3,52-56; მთ 13,10-17

კამილიელი მ. ნინო (ჯანჯიროლამო) მარტინის
გახსენება (+2017)

აჰა, მე მოვალ შენთან ზრქელ ღრუბელში გამ 19,9

ღმერთი აიმედებს მოსეს. ის ღრუბლიდან
ესაუბრება მას: ხალხი იხილავს ღრუბელს და
ასე ირწმუნებენ, რომ იგი ღმერთის ნებას გა-
მოხატავს. მაგრამ, იმისათვის, რომ ღმერთის
სიტყვები მოსეს პირიდან მოისმინონ, მთელი
ხალხი უნდა განიწმინდოს. სწორედ ამიტომ,
ისინი, ვინც ხშირად მიმართავენ აღსარების
საიდუმლოს, მეტი ხალისით და უფრო ნაყო-
ფიერად ისმენს უფლის სიტყვას!

25 ივლისი

პარასკევი :

წმ. იაკობ მოციქული, დ, [ს], წ

2025 :

(12.VII) ღირსნი იოანე და გაბრიელ ათონელნი, Xს.

2კორ 4,7-15; ფს 125; მთ 20,20-28

რათა იესოს სიცოცხლე
ჩვენს სხეულში გამოჩნდეს 2კორ 4,10

ასე ხდება, როდესაც იესოს სიკვდილს ვეზი-
არებით! ასე ამბობს წმინდა პავლე. იაკობი
პირველია მოციქულთაგან, ვინც უფლის
ვნება გაიზიარა, როდესაც ჰეროდე აგრი-
პამ თავი მოჰკვეთა მას. იესოსადმი ჩვენი
მტკიცე ერთგულებით დავამოწმებთ, რომ
იგი იძლევა ჭეშმარიტ და სრულ სიცოცხლეს,
სიყვარულისა და სიწმინდის წყაროს.

26 ივლისი

შაბათი

რიგითი ჟამის XVI კვირა [IV]

2025

წმ. იოაკიმე და წმ. ანა, მშობელნი ნ. ქ. მარიამისა,
(მ), თ

გამ 24,3-8; ფს 49; მთ 13,24-30

ყოველ სიტყვას, რომელიც წარმოთქვა უფალმა,
შევასრულებთ გამ 24,3

ჯერ კიდევ უდაბნოში მოხეტიალე ხალხი, ამ დაპირებით ეხმაურება მოსეს, ვინც უფლის სიტყვები დაწერა. გინდ ღმერთის სიტყვები, გინდაც ხალხის სიტყვები მსხვერპლად შეწირულ ცხოველთა სისხლით გამტკიცდა. ეს სისხლი იესოს მიერ ჯვარზე დათხეულ სისხლზე მეტყველებს: ჩვენი ნება ძლიერდება, რათა დავემორჩილოთ ღმერთის თითოეულ სიტყვას მისი სამსხვერპლოდან!

27

ივლისი

პვირბ

რიბიტი XVII პვირბდღე, «ბ», [1], მბ

2025

დაბ 18,20-32; ფს 137; კოლ 2,12-14; ლკ 11,1-13

ზეცაიერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ,
ვინც სთხოვს ლკ 11,13

იესო გვასწავლის ლოცვას. ის ზრუნავს ჩვენი ლოცვის ნაყოფიერებაზე. ამიტომაც ეს იქნება უყოყმანოდ, გულმოდგინედ და უპირველესად, გამიზნულად აღვლენილი ლოცვა. არ შევთხოვთ ფუჭსა და უსარგებლოს, არამედ ყოვლად არსებითს, როგორიც პურია:
სულიწმიდას შევთხოვთ მამას!

28 ივლისი

რიგითი ჟამის XVII კვირა [I], მწ

ორშაბათი

2025

(15.VII) წმმ. ივლიტა და კვირიკე, წამ. (+~305)

გამ 32,15-24.30-34; ფს 105; მთ 13,31-35

ვიტყვი, რაც დასაბამიდან დაფარულია მთ 13,35

იესოს იგავები რომ შეგვაცნობს, მათე წინასწარმეტყველურ სიტყვებს გვაძლევს. ამ იგავებში იესო ცხადდება: სწორედ მის გამო შექმნა ღმერთმა სამყარო, რომელიც ზეციური სამეფოს მისაღებად არის განკუთვნილი. ხოლო სამეფო ამქვეყნად მისი მოსვლით იწყება.

29 ივლისი

რიგითი ჟამის XVII კვირა [1]

სამუშაოთი :

2025 :

წმ. მართა, მარიამი და ლაზარე,
უფლის მოწაფენი, (მ), თ

1იო 4,7-16; ფს 33; იო 11,19-27 ან, ლკ 10,38-42

ღმერთი სიყვარულია 1იო 4,16

ამ გამოცხადებით აღვნიშნავთ წმიდანებს:
მართას, მის დას მარიამსა და ლაზარეს.

მათ სახლში იესო იმდენად მშვიდად
გრძნობდა თავს, რომ თავისი მოწაფეებიც
კი მიჰყავდა. იქ იმყოფებოდა ღმერთიც,
რამეთუ იქ სუფევდა უბრალო და სუფთა
სიყვარული: მარიამის სიყვარული, რომელიც
ისმენს, ლაზარეს სიყვარული, რომელიც
გულღიაობას იჩენს და მართას სიყვარული,
რომელიც მსახურებას სწევს.

30 ივლისი

რიგითი ჟამის XVII კვირა [I], მწ

ოთხშაბათი :

2025 :

*წმ. პეტრე ქრიზოლოგი, რავენის ეპისკოპოსი,
ეკლესიის მოძღვარი, +~451*

გამ 34,29-35; ფს 98; მთ 13,44-46

ცათა სასუფეველი დაფლოულ ცანძსა ჭეავს მთ 13,44

იესო კიდევ ერთ იგავს გვაცნობს, იმისათვის, რომ შეგვაყვაროს ცათა სასუფეველი და შეგვეწიოს მის აღსრულებაში. შენ ხარ საუნჯე, რომელიც მინდორში იპოვეს მძიმე გარჯის დროს. როდესაც მივხვდი, რომ მძიმე შრომით და ჯაფით გიწევდი მსახურებას, ჩემი შრომა შევიყვარე და ძვირფას საუნჯედ მივიღე. შენს გარდა ეს არვინ უწყის, და მე სიხარულით ვარ სავსე!

31 ივლისი

რიგითი ჟამის XVII კვირა [1]

ხუთშაბათი :

2025 :

წმ. ევნატე ლოილა, ხუცესი,
იეზუიტთა დამაარსებელი, +1556 რომში, (მ), თ

გამ 40,16-21.34-38; ფს 83; მთ 13,47-53

უფლის დიდებამ აღაგზო სავანე გამ 40,35

მოსე ყველაფერში ღმერთის მითითებას ემორჩილებოდა. ღმერთი იქ არის, კარავში, სადაც კიდობანი იყო შეტანილი მოწმობის ფილებით. ეს სავანე გაუწევს მეგზურობას ხალხს და აქ გაუჟღერებს ღმერთის დიდება მოსეს უკვე მოსმენილ და ახალ სიტყვებს, რითაც ხალხს მიმართავს. ასე მოიქცევა ის, ვინც ცათა სასუფეველზე ქადაგებს: სწორედ მას იტყვის, რაც თავად მიიღო და განიცადა.